

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# ღვნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განსორსვილების სამოქმედო გეგმა



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**დენილთა მიმართ  
სახელმწიფო სტრატეგიის  
განხორციელების  
სამოქმედო გეგმა**

თბილისი  
2012

ბროშურა მომზადებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მიერ დაფინანსებული პროექტის – „დევენილობასთან დაკავშირებული პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის ინოვაციური გზები“ – ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) მეშვეობით.

გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

**ავტორი: ნონა ქურდოვანიძე**

**რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი**

**ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე**

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: ნონა ქურდოვანიძე**



აიწყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა  
იურისტთა ასოციაციაში.  
ჯ. კახიძის ქ.15, 0102, თბილისი, საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01  
ტირაჟი: 500 ცალი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება  
ან გავრცელება კომერციული მიზნით,  
ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2012, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## **შესავალი**

2012 წლის 13 ივნისს საქართველოს მთავრობამ მიიღო №1162 განკარგულება, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა.

სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი მიზანია დევნილთა სოციალ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადანყვეტას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირებასა და დაუცველი დევნილების ინტეგრირებას სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში.

## **დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიანი გადანყვეტა**

დევნილთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის ღონისძიებები დაგეგმილია სამ ეტაპად (სამ ფაზად).

პირველი ეტაპი (ფაზა) შეეხება იმ დევნილებს, რომლებიც კომპაქტურად არიან განსახლებულნი და საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას.

მეორე ეტაპი (ფაზა) მოიცავს:

- დევნილებს, რომლებიც ცხოვრობენ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში, თუმცა, არსებულ შენობას სახელმწიფო მათ არ სთავაზობს გრძელვადიანი განსახლებისათვის;
- კერძო სექტორში მცხოვრებ იმ დევნილებს, რომლებიც უკიდურესად გაჭირვებულნი არიან და საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას.

მესამე ეტაპზე (ფაზაზე) განიხილება იმ დევნილთა დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც უარს აცხადებენ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებებზე.

ბოლო ეტაპზე ასევე განიხილება იმ დევნილების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებს გრძელვადიან განსახლებას.

სამოქმედო გეგმის პირველი და მეორე ეტაპი (ფაზა) დაიწყო 2008-2009 წლებში და მისი განხორციელება გაგრძელდება 2012-14 წლებში, ხოლო მესამე ეტაპის დაწყება იგეგმება პირველი და მეორე ეტაპის (ფაზის) დასრულების შემდეგ.

**გრძელვადიანი განსახლების  
ალტერნატივები კომპაქტურად  
განსახლების ობიექტში მცხოვრები  
დევნილებისათვის**

კომპაქტურად განსახლების ობიექტში მცხოვრები დევნილებისათვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული განსახლების ალტერნატივები განსხვავდება განსახლების ობიექტის კატეგორიის მიხედვით. კერძოდ, პირობითად შესაძლოა გამოვყოთ ორი კატეგორიის კომპაქტურად განსახლების ობიექტი:

- დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის;
- დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით (საცხოვრებლად მონყობა ტექნიკურად შეუძლებელია; მისი რეაბილიტაცია ძვირია; კერძო საკუთრებაა და მეპატრონეს არ აქვს სურვილი, შენობა გამოყენებულ იქნეს ამ მიზნით; აქვს მნიშვნელოვანი საჯარო ღირებულება – სტრატეგიული ობიექტია) შეუძლებელია გამოყენებული იყოს დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის.

იმ ობიექტებში მცხოვრებ დევნილებს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იყოს გრძელვადიანი

განსახლებისთვის, მიეცემათ შესაძლებლობა, საკუთრებაში მიიღონ დაკავებული საცხოვრებელი ფართები სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით (სტანდარტები იხილეთ დანართში).

ისეთ ობიექტებში მაცხოვრებელ დევნილებს, რომელთა გამოყენება შეუძლებელია გრძელვადიანი განსახლების მიზნით, ეტაპობრივად შეეთავაზებათ განსახლება საცხოვრებლად მოწყობილ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ცარიელ შენობებში ან ახლად აშენებულ კორპუსებსა და სახლებში. ასევე, შესაძლოა სახელმწიფომ შეისყიდოს ბინები და სახლები, რომლებსაც დევნილებს შესთავაზებს.

იმ შემთხვევაში, თუ დევნილი ოჯახი უარს იტყვის გრძელვადიანი განსახლების მიზნით კოლექტიურ ცენტრში მისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში მიღებაზე, გრძელვადიანი განსახლების პროცესი ამ ობიექტზე არ შეფერხდება.

## **რა შედეგებს იწვევს კომპაქტურად განსახლების ობიექტში დაკავებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში მიღებაზე უარის თქმა**

დევნილები, რომლებიც უარს იტყვიან კომპაქტური განსახლების ობიექტში ფართების საკუთრე-

ბაში მიღებაზე, გააგრძელებენ ცხოვრებას განკუთვნილ ფართებში მანამდე, სანამ სამინისტრო არ შესთავაზებს მათ სხვა ალტერნატივას. ისინი აღნიშნულ ობიექტში დარეგისტრირდებიან, როგორც კერძო სექტორში მაცხოვრებლები, ხოლო ობიექტი დაიხურება, როგორც კომპაქტურად განსახლების ობიექტი.

კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრებ დევნილთა უფლება – იცხოვრონ კანონით დადგენილი წესით დაკავებულ ფართებში – რჩება ხელშეუხებელი, ვიდრე დევნილი არ განაცხადებს თანხმობას ერთ-ერთ ალტერნატიულ შეთავაზებაზე.

## **გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებები კერძო სექტორში დარეგისტრირებული დევნილებისათვის**

კერძო სექტორში დარეგისტრირებული დევნილებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი და ცხოვრობენ უკიდურესად გაჭირვებულ პირობებში, სამოქმედო გეგმა ეტაპობრივად ითვალისწინებს გრძელვადიანი განსახლების პროგრამებს.

მათი დაკმაყოფილება მოხდება საცხოვრებლად მოწყობილ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ცარიელ შენობებში ან ახლად აშენებულ კორპუსებსა და სახლებში, ასევე, შესაძლოა, სახელმ-



ნიფოს მიერ შესყიდულ ბინებსა და სახლებში/სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან/და აშენებულ ახალ ობიექტებში (ბინები, სახლები).

## **გრძელვადიანი განსახლების სხვა ალტერნატივები**

გარდა ზემოთ მოცემული განსახლების ღონისძიებებისა, როგორც კომპაქტურად განსახლებულ, ასევე კერძო სექტორში მაცხოვრებელ დევნილებს, სახელმწიფომ შესაძლოა შესთავაზოს სხვადასხვა ალტერნატივა, მაგალითად, სოციალური საცხოვრებელი; საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ, კერძო ინვესტორის ან სახელმწიფოს მიერ გაცემული ერთჯერადი ფულადი დახმარება და სხვა.

გრძელვადიანი განსახლების სხვა მიმართულებებია ცარიელი შენობების რეაბილიტაცია, ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, დევნილთა განსახლება და საკუთრებაში გადაცემა (ახალი საცხოვრებლების მშენებლობა არ განხორციელდება ქ. თბილისში), ასევე დევნილთა განსახლება გამოსყიდულ ან აშენებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ბინებში სოფლად. ამ პროექტების ფარგლებში დაკმაყოფილდებიან ის დევნილები, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ კოლექტიურ ცენტრებში, რომლებიც არ გარე-

მონტდება და/ან საკუთრებაში არ გადაეცემათ, ასევე, კერძო სექტორში მაცხოვრებელი უკიდურესად გაჭირვებული დევნილები, რომლებიც არიან უსახლკაროდ დარჩენის რისკის წინაშე.

## **კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია**

კოლექტიური ცენტრების (სადაც ამჟამად ცხოვრობენ დევნილები) რეაბილიტაცია და საკუთრებაში გადაცემა არის ერთიანი პროცესი, რომელსაც კოორდინირებას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. კონკრეტულ შენობა-ნაგებობათა გარემონტების გადწყვეტილების შემთხვევაში, კოლექტიური ცენტრების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა უნდა განხორციელდეს ამ ობიექტების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ.

ყველა კოლექტიური ცენტრი ვერ გამოდგება გრძელვადიანი განსახლებისთვის. ის ობიექტები, რომლებიც არ ექვემდებარება რეაბილიტაციას, ან შეუძლებელია საცხოვრებლად მოეწყოს, ანდა მისი საცხოვრებელ ბინებად გარდაქმნა, განსახლების სხვა ალტერნატივებთან შედარებით, საგრძნობლად ძვირია, წარმოადგენს კერძო საკუთრებას, ან აქვს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დატვირთვა (სტრატეგიული ობიექტი) –

გამოთავისუფლდება და დაიხურება, ხოლო იქ მაცხოვრებელი დევნილებისთვის შეთავაზებულ იქნება განსახლების ალტერნატიული ღონისძიებები.

## **საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა**

დევნილებს, რომლებსაც ესაჭიროებათ გრძელვადიანი განსახლება და აკმაყოფილებენ შესაბამის პირობებს, მიეცემათ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმირებული გადანყვეტილება. მათ უფლება აქვთ, დათანხმდნენ შეთავაზებას, ან უარი თქვან მასზე და დაელოდონ ალტერნატიულ შეთავაზებას.

არსებობს დევნილთათვის საკუთრებაში გადასაცემი კომპაქტური განსახლების ობიექტების ორი კატეგორია:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტები;
- ობიექტები, რომლებსაც სახელმწიფო შეისყიდის კერძო მესაკუთრეთაგან და შესთავაზებს დევნილებს.

დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი, რომელიც კერძო საკუთრებაშია და გამოდგება საცხოვრებლად, მესაკუთრის თანხმობის შემთხ-

ვევაში, გონივრულ ფასად შესყიდული იქნება სახელმწიფოს მიერ და ამის შემდგომ შეეთავაზებათ დევნილებს ფართების საკუთრებაში გადაეცემა.

საცხოვრებელი ფართი — ბინა დევნილ ოჯახებს საკუთრებაში გადაეცემათ სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად.

საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის შემდეგ დევნილებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩამოაყალიბონ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები. ამხანაგობების ჩამოყალიბების შემდგომ, მათ საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ იმ მუნიციპალურ პროგრამებში, რომლებიც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას და განვითარებას ისახავს მიზნად.

**გრძელვადიანი განსახლების  
ღონისძიებები დევნილებისათვის,  
რომლებიც უარს იტყვიან სამინისტროს  
მიერ შეთავაზებულ ახლად აშენებულ,  
რეაბილიტირებულ ან შესყიდულ  
საცხოვრებელ ფართზე**

დევნილებს (დევნილი ოჯახების), რომლებიც საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას და უარს იტყვიან სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ახლად აშენებულ, რეაბილიტირებულ ან შესყიდულ

საცხოვრებელ ფართზე, სხვა ალტერნატიული შეთავაზება გაუკეთდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში დაკმაყოფილდება სხვა დევნილი (დევნილი ოჯახი), რომელიც საჭიროებს გრძელვადიან განსახლებას.

**დევნილთა პრობლემების  
გრძელვადიანი გადაჭრის პროგრამები  
იმ დევნილებისათვის, რომლებიც არ  
საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას**

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მოხდება იმ დევნილების ვინაობის დადგენა, რომლებსაც აქვთ უძრავი ქონება. შესწავლილ იქნება დევნილთა ეს კატეგორია და ფინანსური რესურსების არსებობის და საჭიროებიდან გამომდინარე, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, შესაძლოა გაენიოთ ერთჯერადი დახმარება. ან თუ დევნილ ოჯახს გააჩნია შესაძლებლობა, თავად უზრუნველყოს სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, მათ შესაძლოა გადაეცეთ სამშენებლო მასალა. სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მართოხელა დედების ოჯახებმა ამ პროცესებიდან უფრო მეტი სარგებელი მიიღონ.

ასევე, მოხდება იმ დევნილი ოჯახების იდენტიფიცირება, რომლებსაც არ სურთ საცხოვრებელი ფართის მიღება, რადგან მათ გააჩნიათ სათანადო შემოსავალი და სურვილი აქვთ, თავად შეიძინონ საცხოვრებელი. ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელი იქნება გარკვეული ფინანსური დახმარების განევა საცხოვრებელი ფართის შეთავაზების სანაცვლოდ. ასეთ შემთხვევებში, ფულადი თანხა მშენებლობისთვის საჭირო თანხაზე ნაკლები იქნება. ფულადი დახმარების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი განხორციელება დაიწყება სამოქმედო გეგმის მესამე ეტაპზე.

## **სოციალ-ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებები**

სოციალ-ეკონომიკური ინტეგრაციის ელემენტები მოიცავს (მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, განათლების მიღების შესაძლებლობას, საარსებო წყაროს და დასაქმებას გენდერული თანასწორობის დაცვით.

მოდებულ იქნება მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან, რათა ხელი შეეწყოს

ისეთი პროექტების განვითარებასა და განხორციელებას, რომლებიც მიმართული იქნება დევნილთა სოციალ-ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ.

მას შემდეგ, რაც განხორციელდება დევნილთა ინტეგრაციის მხარდამჭერი ღონისძიებები, მოხდება დევნილთა მიმართ სოციალური დახმარების სისტემის ტრანსფორმირება – სტატუსიდან საჭიროებაზე. დევნილის სტატუსზე დამყარებული დახმარება უზრუნველყოფილი იქნება გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველი პირებისათვის.

## დანართი

კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტები დევნილთა ხანგრძლივადიანი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით (დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2009 წლის 17 სექტემბერს)



კოლმტბური დენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტები დევნილთა ხანგრძლივვადაიანი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით\*

პარამეტრი	ერთეული	სტანდარტები		შენიშვნა
		მინიმალური სტანდარტი აკლადამენებული და მენარტებისთვის	მინიმალური სტანდარტი დევნილებით დასახლებული რეაბილიტაციისთვის	
საგზოვრკელი ფართი (ბაზანის გამოკლებით)	82 თითოეულ ბინაში	25 - 35 82	15 82-ზე მეტი თითოეულ მისაბლზე + დამატებითი 5-8 82 თითოეულ დამატებით მისაბლზე	1-2 მისაბლზე
		40 - 45 82		3-4 მისაბლზე
		50 - 60 82	იმ მუშონვეების გარდა, როგორც დამატებულად არ არის შესაძლებელიან შეფუგება უარყოფილია. ბენეფიციარს უნდას მიერ ცხლდით განსრტებითი დოკუმენტი, ერთი ითანბმ. ნეგოციებ სულთა რაოდენობაზე დამატებითი არტუული რეკონსტრუქციის დოკული უნდა იქნას	სამთითბინანი ბინა
ბაზანა**	ბაზანა	1 კარბი მდლბოლიბინი არტებული დოკუმენტი იმვე სარწიულზე	თითოეულ ბინაზე	საბარგარში + სწიპა ცხელი წყლით + ხელის დასაბანი ნეცრა ცხელი წყლით. იატაკქვეშ სადრწნეო არბი სწიპაზე. დენტლიციის სისტემა. კოცულით მოზარტებულთა იატაკი და კედლები რეგნეაფი სადებეი კვლგან ჰიდროიზოაციური მისაბლდან გაბეებულთა ჰური

სამწარეულო**	სამწარეულო	1	1	1	ნიგრა • ლუმეო (კალეიკან ბაიბეზული # შრეიფი ნიგრის უკან წელის მუხუცისგან დასცვდე)
ფანჯრები	ფანჯრების რაოდენება ერთი ოთახში	1		1	თითოეული ბინაზე (საკვირბეული ფართის შემადგენლობაში)
ბათიბა		1		1	თითოეული ბინა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო განთბობით, მათავისთრიბეული უნდა იქნას ინდივიდუალური გაზის ან შენის ვაშული, მაკეცე სამწარეულოს მუხუცი (მუხუცე მოხუცე) საკვირბეული
საკვირბეული					შენის უზრუნველყოფილი უნდა გადიოდეს შენობის გარეთ. მუდმივად უნდა მოხდეს საკვირბეულის გაწმენდა და დაფარვა და საკვირბეო უნდა მიჯდრეზოდეს მუხუცეების შესახებ არსებული საბუღალრო სტანდარტის (1977) მოხედვით დაფუძნებული მანძილზე შენობის ზედათ
კედლები					არსებული ტიპები უნდა შეინარჩუნდეს იქ, სადა ეს შესაძლებელი იქნება, ახალი ტიპების ამუშავების შემთხვევაში, ნაგავტირი და მსუხუცი მასალები (ქვანუგავს ტიპის) უნდა იქნას მითითებული.
კედლები საფარი					სამწარეულოში გამოყენებული უნდა იქნას რეგულაცი საფარი
ოთახი					ლაშქრბეული ოთახი უნდა იქნას გამოყენებული იქ, სადაც ოთახი გამოყვლის სტერილბის საჭიროების შემთხვევაში უნდა გაკეთდეს ობიექტში საფარი
ელექტროსისტემა	სისტემა	1		1	ელექტრული სისტემების დაცვებარება და დაცვება უნდა მოხდეს იმ დავების შედეგით/ინჟინბით, რომ თითოეული ოთახი გამოყენების მიზნად ვაშქტბი მიწიბილობებს ზამთარის პერიოდში სტანდარტული საყოფაცხოვრბეო ვაშქტბი მოწოდბობებთან ერთად
შენობის კონტრუქცია და საერთო მოხმარბების ფართი**					სტრუქტურის კაბის უზრუნველბის, კედლების, ტირბეორის, ფასადის, წილის ტოქბების შეკეთბებარბობების სტანდარტის შესახებ, რომელიც საბუღალროს ილბინს ილბინს ილბინს ილბინს ილბინს ილბინს ილბინს უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრბეობის და გამოყენბის სფეროებბს, მაგალითად: მოყარბები კიბეებზე, წელბეულებბის საბუღალრო, ფასადის და ბინბეული ადბეობის შეღებვა და ა.შ. განსაკუთრბებული ყურადღებვა უნდა მიუქცეს საერთო მოხმარბების ფართის უსაფრბეობის, არანბრეზბეო ბინა უნდა იქნას გამოყენბული საერთო მოხმარბების ადბეობებში

<p>შედა გაყვანილობები უნდა დაყენდეს შესაბამის კანონმდებლობის და წყალმომარაგების/სანატარალუი დამწესებულებების სტანდარტების შესაბამისად</p>			<p>შედა გაყვანილობები უნდა დაყენდეს შესაბამის კანონმდებლობის სტანდარტებს</p>	<p>შედა გაყვანილობების დაყენება უნდა შესაბამისობაში იქონიებოდეს შესაბამის კანონმდებლობას და შესაბამისი დამწესებულებების სტანდარტებს</p>	<p>შედა გაყვანილობები უნდა დაყენდეს შესაბამის კანონმდებლობის და წყალმომარაგების/სანატარალუი დამწესებულებების სტანდარტების შესაბამისად</p>
<p>გარე გაყვანილობებზე პასუხისმგებლობა უნდა გასწავლიდეს ადგილობრივ ხელისუფლებას, კონტრაქტორებს ან კონტრაქტორებს, უნდა მიახდინონ გარე გაყვანილობების დაყენება</p>			<p>გარე გაყვანილობების დაყენება უნდა შესაბამისობაში იქონიებოდეს შესაბამის კანონმდებლობას და შესაბამისი დამწესებულებების სტანდარტებს</p>	<p>გარე გაყვანილობების დაყენება უნდა შესაბამისობაში იქონიებოდეს შესაბამის კანონმდებლობას და წყალმომარაგების/სანატარალუი დამწესებულებების სტანდარტების შესაბამისად</p>	<p>გარე გაყვანილობების დაყენება უნდა შესაბამისობაში იქონიებოდეს შესაბამის კანონმდებლობას და წყალმომარაგების/სანატარალუი დამწესებულებების სტანდარტების შესაბამისად</p>
<p>საერთო გაყვანილობები</p>	<p>ულტრამაგნიტური და კანალიზაციის</p>	<p>ულტრამაგნიტური და კანალიზაციის</p>	<p>ულტრამაგნიტური და კანალიზაციის</p>	<p>ულტრამაგნიტური და კანალიზაციის</p>	<p>ულტრამაგნიტური და კანალიზაციის</p>
<p>საბინაო ნივთიერებების განაწილება</p>	<p>გაზი</p>	<p>გაზი</p>	<p>გაზი</p>	<p>გაზი</p>	<p>გაზი</p>
<p>საბინაო ნივთიერებების განაწილება</p>	<p>საბინაო ნივთიერებების განაწილება</p>	<p>საბინაო ნივთიერებების განაწილება</p>	<p>საბინაო ნივთიერებების განაწილება</p>	<p>საბინაო ნივთიერებების განაწილება</p>	<p>საბინაო ნივთიერებების განაწილება</p>



**უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შემდეგ ოფისებს:**

**თბილისის ოფისი**

ჯ.კახიძის ქ. №15, 0102  
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353  
ფაქსი: + (995 32) 2923211  
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

**ქუთაისის ფილიალი**

მ.კოსტავას ქ. №11, 4600  
ტელ: + (995 431) 241192  
ფაქსი: + (995 431) 214585  
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

**ბათუმის ფილიალი**

ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000  
ტელ: + (995 422) 276668,  
ფაქსი: + (995 422) 222950  
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

**გორის ოფისი**

სტალინის ქ. №19, 1400  
ტელ: + (995 370) 272646  
ფაქსი: + (995 370) 279842  
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

**რუსთავის ოფისი**

კოსტავას 15 ა/5, 3700  
ტელ: + (995 341) 255337  
ფაქსი: + (995 341) 240566  
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

**თელავის ოფისი**

ბარნოვის ქ. №10, 2200  
ტელ/ფაქსი: + (995 350) 271371  
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

**ოზურგათის ოფისი**

გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500  
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138  
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

**დუშეთის ოფისი**

რუსთაველის ქ. №29, 1810  
ტელ: + (995 346) 221554  
ფაქსი: + (995 346) 221553  
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge